კავკასიაში რუსეთის სამხედრო ინფერვენციების გეოპოლიტიკური კონფექსი

ბიორგი ანთაძე

კავკასიაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციების გეოპოლიტიკური კონტექსტი

ავტორი: **გიორგი ანთაძე**

თბილისი

2024

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი 1

ევრაზიონიზმის როლი და გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და უკრაინაში. 2

რუსეთის ინტერვენციები კავკასიაში და მისი გეოპოლიტიკური კონტექსტი . . 7

რეზონანსი უკრაინის ომთან 14

დასკვნა. 18

ბიბლიოგრაფია 19

შესავალი

სტატიაში განხილულია რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციები კავკასიაში, კერძოდ, კონფლიქტები ჩეჩნეთსა და საქართველოში. გაანალიზებულია მათი კავშირი თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტთან. ასევე რუსეთის სამხედრო ინტერვენციები და მისი გეოპოლიტკური ხედვა მოცემულია ევრაზიონიმის კონცეფციის ფარგლებში და განხილულია კონცეფციის გავლენა რუსეთის და მისი ლიდერების გეოსტრაგიულ აზროვნებაზე. მსჯელობიდან ჩანს, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ინტერვენციები კავკასიაში არის უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს გავლენის შენარჩუნებას „ახლო საზღვარგარეთში“ და დასავლეთის გაფართოების შეჩერებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებასა და რეგიონულ სტაბილურობაზეც.

რუსეთის მიერ განხორციელებულმა სამხედრო ინტერვენციებმა კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით კონფლიქტებმა ჩეჩნეთსა და საქართველოში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოსტსაბჭოთა ეპოქის გეოპოლიტიკური ландშაფტის ფორმირებაში.

კავკასია, მრავალფეროვანი რეგიონი ევროპასა და აზიას შორის, დიდი ხანია რუსეთის სტრატეგიული ინტერესის ფოკუსში იმყოფება. გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნიკური შემადგენლობა და ისტორიული კავშირები რუსეთთან მას გადამწყვეტ არეალად აქცევს რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის დინამიკის გასაგებად. 2022 წელს უკრაინაში შეჭრამდე, კონფლიქტები ჩეჩნეთში (1994-1996 და 1999-2009 წლებში) და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი წარმოადგენდნენ მთავარ მაგალითებს რუსეთის მიდგომების შესასწავლად თავის „ახლო საზღვარგარეთში“ - ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რომლებსაც მოსკოვი თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევს. სწორედ აღნიშნული კონფლიქტებიდან დასავლეთის მხრიდან არასათანადო გაკვეთილების გამოტანა გახდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის ერთ-ერთი მიზეზი.

კავკასიაში თანამედროვე რუსეთის მოქმედებების გასაგებად დაგვეხმარება რუსული ევრაზიონიზმის კონცეფცია. ეს იდეოლოგიური ჩარჩო, რომელმაც მნიშვნელობა შეიძინა რუსულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წარმოაჩენს რუსეთს როგორც უნიკალურ ცივილიზაციას ევროპასა და აზიას შორის. ევრაზიონიზმი გავლენას ახდენს რუსეთის აღქმაზე მსოფლიოში მისი როლის შესახებ და მის მიდგომაზე რეგიონული უსაფრთხოებისადმი, განსაკუთრებით ისეთ არეალში, როგორიცაა კავკასია, რომელიც სხვადასხვა კულტურული და პოლიტიკური სისტემების გადაკვეთაზე მდებარეობს.

ევრაზიონიზმის როლი და გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და უკრაინაში

როგორც აღვნიშნეთ, დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია გავიაზროთ რუსული ევრაზიონიზმის იდეა და მისი კავშირი თანამედროვე რუსულ საგარეო პოლიტიკასთან, ვინაიდან ეს მსოფლმხედველობა აშკარა გავლენას ახდენს რუსეთში მისი გეოპოლიტიკური სივრცის შესახებ გაბატონებულ ხედვებსა და საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებზე.

რუსული ევრაზიონიზმი , როგორც პეტრ სავიცკიმ და ნიკოლაი ტრუბეცკოიმ 1920-იან და 1930-იან წლებში შექმნეს და შემდგომ სხვებმაც განავითარეს (ანთაძე, 2012), არის გეოპოლიტიკური და კულტურული ფილოსოფია, რომელიც რუსეთს განიხილავს როგორც უნიკალურ ცივილიზაციას, რომელიც განსხვავდება ევროპისა და აზიისგან.

სავიცკი და ტრუბეცკოი რუსეთ-ევრაზიას განიხილავდნენ როგორც ცალკეულ გეოგრაფიულ ერთეულს, რომელიც გადაჭიმულია აღმოსავლეთ ევროპიდან წყნარ ოკეანემდე თავისი უნიკალური მახასიათებლებით.

- **კულტურული სინთეზი** - ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსული კულტურა არის სლავური, თურქული და მონღოლური გავლენის ნაზავი, რომელიც ქმნის მკაფიო ევრაზიულ ცივილიზაციას.
- **ევროცენტრიზმის უარყოფა** - ორივე მოაზროვნე აკრიტიკებდა იდეას, რომ ევროპული ცივილიზაცია უმაღლესი იყო და გამოდიოდა რუსეთში დასავლური მოდელების უაპელაციო მიღების წინააღმდეგ.
- **ისტორიული ბედი** - მათ სჯეროდათ, რომ რუსეთს ჰქონდა განსაკუთრებული ისტორიული მისია, გაეერთიანებინა ევრაზიის ხალხები ერთ პოლიტიკურ და კულტურულ ერთეულში.
- **ნაციონალიზმის კრიტიკა** - ევრაზიულ ერთიანობაზე ხაზგასმით მათ უარყვეს ვიწრო ეთნიკური ნაციონალიზმი უფრო ფართო, ზენაციონალური იდენტობის სასარგებლოდ.

- **ეკონომიკური აუტარკია** - სავიცკი, განსაკუთრებით, ევრაზიის სივრცეში, ეკონომიკური თვითკმარობის მომხრე იყო.

- **სულიერი და კულტურული უნიკალურობა** - ისინი ხაზს უსვამდნენ ევრაზიული ცივილიზაციის სულიერ და კულტურულ ასპექტებს, ხშირად უპირისპირებდნენ მას მატერიალისტურ დასავლეთს.

- **იდეოკრატია** - ტრუბეცკოიმ შემოგვთავაზა „იდეოკრატიული“ სახელმწიფოს კონცეფცია, რომელიც ხელმძღვანელობს გამაერთიანებელი იდეით და არა დემოკრატიული ან ავტოკრატიული პრინციპებით. ეს იდეა ხშირად გამოიყენება ევრაზიონიზმის თანამედროვე აპოლოგეტის, აღექსანდ დუგინის მიერ.

- **ანტიკოლონიალიზმი** - ისინი აკრიტიკებდნენ ევროპულ კოლონიალიზმს და ევრაზიულობას არადასავლური კულტურების დამოუკიდებლობის დამტკიცების გზად თვლიდნენ.

- **გეოპოლიტიკური ბალანსი** - ისინი ევრაზიას განიხილავდნენ როგორც „ჰართლენდს“, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს საზღვაო ძალების საპირწონეს - იდეა, რომელიც გავლენას ახდენს ჰალფორდ მაკინდერის გეოპოლიტიკურ თეორიებზე.

ამ ფილოსოფიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაზე სხვადასხვა თანამედროვე ინტერპრეტაციით და ადაპტაციით, რომლებიც აგრძელებენ დისკუსიების ფორმირებას რუსეთის ადგილის შესახებ მსოფლიოში და ზემოთ მოყვანილი პოსტულატები მრავლად გვხდება რუსეთის პირველი პირებისა თუ პროპაგანდისტების რიტორიკაში.

თუ ჩავულრმავდებით, დავინახავთ, რომ დროთა განმავლობაში ადაპტირებული და გამოყენებული იქნა სავიცკის და ტრუბეცკოის იდეები. ასე მაგალთად, უახლოეს დროში:

1. ნეოევრაზიულობა

- აღექსანდრე დუგინი, სადავო შეხედულებების მქონე რუსი პოლიტიკური თეორეტიკოსი, 1990-იანი წლებიდან ყველაზე გამორჩეული ფიგურაა ევრაზიული იდეების აღორძინებისა და ხელახალი ინტერპრეტაციის საქმეში.

- დუგინის ევრაზიულობის ვერსია უფრო აშკარად ანტიდასავლურია და მხარს უჭერს მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგს, რათა დაუპირისპირდეს იმას, რასაც ის აშშ-ის ჰეგემონიად თვლის.

2. საგარეო პოლიტიკაზე გავლენა

- ევრაზიულმა იდეებმა გავლენა მოახდინა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით.

- „რუსული სამყაროს“ კონცეფცია (Русский Мир) და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში გავლენის შენარჩუნების მცდელობები შეიძლება ჩაითვალოს ევრაზიული აზროვნების ნაწილობრივ გამოვლინებად.

3. ევრაზიის ეკონომიკური კავშირი

- 2015 წელს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება, რომელშიც შედიან: რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, სომხეთი და ყირგიზეთი, - ასახავს გარკვეულ ევრაზიულ მისწრაფებებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური ინტეგრაციისკენ.

4. კულტურული და იდენტობის პოლიტიკა

- ევრაზიულობა გამოიყენებოდა მკაფიო რუსული იდენტობის გასაძლიერებლად, რომელიც არც ევროპული და არც აზიურია, რაც გავლენას ახდენს ეროვნულ იდენტობასა და კულტურული პოლიტიკის დებატებზე.

5. აკადემიური დისკუსი

- ევრაზიული იდეების განხილვა გრძელდება აკადემიურ წრეებში. ზოგიერთი მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს მის ისტორიულ ფესვებსა და თანამედროვეობას.

6. გეოპოლიტიკური სტრატეგია

- ევროპასა და აზიას შორის რუსეთის უნიკალურ გეოპოლიტიკურ პოზიციაზე ხაზგასმა კვლავ მოქმედებს სტრატეგიულ აზროვნებაზე და რუსეთის გლობალური როლის გამართლებაზე.

7. ვესტერნიზაციის კრიტიკა

- „ევრაზიულობის“ არგუმენტები ხშირად გამოიყენება დასავლური სტილის ლიბერალიზმისა და დემოკრატიის კრიტიკის დროს, რომელიც მკაფიოდ ამტკიცებს რუსეთის განვითარების გზას.

8. გავლენა რუსეთის მიღმა

- ევრაზიულმა იდეებმა გარკვეული რეზონანსი ჰპოვა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ევროპის ზოგიერთ ულტრამემარჯვენე წრეებშიც კი.

9. ტექნოლოგიური სუვერენიტეტი

- თანამედროვე ინტერპრეტაციები ხშირად მოიცავს მოწოდებებს ტექნოლოგიური და ციფრული სუვერენიტეტისაკენ, რომელიც შეესაბამება დასავლური სისტემების ავტონომიის უფრო ფართო ევრაზიულ იდეებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევრაზიულობის თანამედროვე ინტერპრეტაციები მრავალფეროვანია და ხშირად საკამათო. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ვერსია, განსაკუთრებით ისეთი, როგორიც დაკავშირებულია დუგინის მსგავს მოღვაწეებთან, გამოიყენებოდა ავტორიტარიზმისა და ექსპანსიონისტური პოლიტიკის გასამართლებლად. ევრაზიული იდეების გავლენა თანამედროვე რუსულ პოლიტიკასა და საზოგადოებაში რჩება მეცნიერთა და პოლიტიკოსთა შორის მიმდინარე დებატების საგანი.

ასევე არსებობს ინტელექტუალური შეუსაბამობები - კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ევრაზიონიზმი ხშირად ეყრდნობა შერჩევით ისტორიულ ინტერპრეტაციებს და შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა შერჩევით იყენებს ევრაზიონისტულ იდეებს, როგორც ლეგიტიმაციის ინსტრუმენტს და არა როგორც თანმიმდევრულ სახელმძღვანელო ფილოსოფიას.

თუმცა, მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევრაზიონისტული იდეოლოგიის გავლენა სულ უფრო თვალსაჩინოა რუსი ლიდერების რიტორიკაში, განსაკუთრებით პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გამოსვლებსა თუ ჩანაწერებში.

ცნობილია, რომ თავის მრავალ გამოსვლასა და ჩანაწერში პუტინმა ჩამოაყალიბა რუსეთის ხედვა, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება ევრაზიონისტულ პრინციპებს. მაგალითად: 2013 წელს „ვალდაის კლუბში“ გამოსვლისას მიმართვაში მან ხაზი გაუსვა რუსეთის უნიკალურ ცივილიზაციურ იდენტობას, განაცხადა რა, რომ რუსეთი არა მხოლოდ ქვეყანაა, არამედ „სახელმწიფო-ცივილიზაციაა“ განსაკუთრებული მისიით, დაიცვას და ხელი შეუწყოს ევრაზიულ ღირებულებებს. პუტინმა განაცხადა, რომ „სახელმწიფო-ცივილიზაცია, გაძლიერებული რუსი ხალხით, რუსული ენით, რუსული კულტურით, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიითა და ქვეყნის სხვა ტრადიციული რელიგიებით. სწორედ სახელმწიფო-ცივილიზაციის მოდელმა ჩამოაყალიბა ჩვენი სახელმწიფო წყობა და საგარეო პოლიტიკა“ (List, 2013). მსგავსად ამისა, თავის 2021 წლის სტატიაში „რუსებისა და უკრაინელების ისტორიული ერთიანობის შესახებ“ პუტინმა წარმოაჩინა (Путин, 2021) რუსეთის ურთიერთობა თავის მეზობლებთან ისეთი ტერმინებით, რომლებიც ეხმიანება ევრაზიონისტულ კონცეფციებს საერთო კულტურული და ისტორიული სივრცის შესახებ. ეს განცხადებები ასახავს უფრო ფართო ტენდენციას რუსულ პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც ეყრდნობა ევრაზიონისტულ იდეებს რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციებისა და სამხედრო ინტერვენციების გასამართლებლად, მათ შორის კავკასიაში. ამ იდეოლოგიის მოხმობით რუსი ლიდერები ცდილობენ, ლეგიტიმაცია მიანიჭონ თავიანთ ქმედებებს, როგორც უფრო ფართო ისტორიული და კულტურული მისიის ნაწილს და არა უბრალოდ ძალაუფლების პოლიტიკას. ყოველივეს შედეგად, აღნიშნული სააზროვნო მოდელები მუდმივად ახდენდა გავლენას რუსეთის პოლიტიკაზე კავკასიაშიც.

რუსეთის ინტერვენციები კავკასიაში და მისი გეოპოლიტიკური კონტექსტი

რუსეთის ინტერვენციები კავკასიაში არის არა იზოლირებული შემთხვევები, არამედ ნაწილია უფრო ფართო სტრატეგიისა, რათა მოსკოვმა მოახდინოს თავისი გავლენა, დაიცვას თავისი სასიცოცხლო ინტერესები და გამოწვევა შეუქმნას იმას, რასაც დასავლეთის შეჭრად აღიქვამს თავის ტრადიციული გავლენის სფეროში. ეს დინამიკის ანალიზი მნიშვნელოვანია თანამედროვე გეოპოლიტიკის სირთულეებისა და რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარე დაძაბულობის გასაგებად.

1990-იან წლებში რუსეთის დასუსტების შედეგად, კავკასიაში და განსაკუთრებით ჩეჩნეთში დაწყებული სეპარატისტული მოვლენები, განსაკუთრებულად საფრთხის შემცველი გახდა რუსეთის ფედერაციისათვის. ჩრდილოეთ კავკასიაზე კონტროლის დაკარგვა მთლიანად ფართო რეგიონზე კონტროლის დაკარგვას უდრიდა არსებული გეოგრაფიული მახასიათებლებიდან გამომდინარე, რაც ასევე შეიძლებოდა მთლიანად რუსეთის დეზინტეგრაციის პროცესების დასაწყისი გამხდარიყო. შესაბამისად, სამხედრო ინტერვენცია ჩენჩნეთში, ორი ომი, რომელიც ამ მოვლენებს მოყვა, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა მოსკოვისათვის და მისი გეოსტრატეგიული აზროვნებისათვის, რომლის ჩამოყალიბებაზეც, როგორც ვთქვით, ევრაზიონიზმის იდეებიც ახდენდა გავლენას.

რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ აქტუალური გახდა საბჭოთა კავშირის დანგრევის მერე რუსეთის როლის და ადგილის საერთაშორისო წესრიგში გადახედვა და ახალი ადგილის დასამკვიდრებლად კონცეპტუალური ხედვების ჩამოყალიბება. იქნებოდა ეს რუსული ევრაზიონიზმით ნაკარნახები კონცეფციები, თუ რუსული სამყაროს იდეის განვითარება, ერთი რამ იყო უცვლელი - იკითხებოდა აშკარა უკმაყოფილება რუსეთის როლითა და ადგილით ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელიც აშშ-ისს დომინირებით ყალიბდებოდა. სწორედ ამის დადასტურება გახდა ვლადიმერ პუტინის მიერ 2005 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის „მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ კატასტროფად“ მონათვლა (NBC Universal, 2005) და მოსკოვის საგარეო პოლიტიკურ ველზე პირველი დიდი გააქტიურების დასაწყისიც. შიდაპოლიტიკური კონსოლიდაციის და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის მერე, რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში აშკარად იკვეთება (Hedenskog, 2018, p. 17) უახლესი სამეზობლო ტერიტორიების მიმართ პრეტენზიები და მანამდე ნატოს გაფართოებით შექმნილი უკმაყოფილების დაფიქსირება. როგორც ვიცით, აღნიშნული საკითხი, მოგვიანებით, 2022 წლის 24 თებერვლამდე ვლადიმერ პუტინის საგარეო პოლიტიკური პრეტენზიების ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივი გახდა და უკრაინის კონფლიქტის ჭრილში აქტუალურია ახლაც.

თუ ჩვენ 2007-2022 წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს გავაანალიზებთ, ნათელია რომ მოსკოვი იწყებს მისი გეოპოლიტიკური ადგილის გადახედვას.

რუსეთის სამხედრო ინტერვენციები კავკასიაში, განსაკუთრებით ჩეჩნეთსა და საქართველოში, წარმოადგენს ისტორიული მემკვიდრეობის, სტრატეგიული იმპერატივებისა და იდეოლოგიური გავლენების რთულ ურთიერთქმედებას.

რუსეთის ქმედებები კავკასიაში დღემდე კავშირშია იმპერიული და საბჭოთა ეპოქის პოლიტიკის ისტორიულ მოდელებთან. რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა, ღრმად ფესვგადგმული რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების წიაღში, კვლავაც აყალიბებს მოსკოვის მიდგომას. ეს ისტორიული პერსპექტივა გვეხმარება ავხსნათ რუსეთის მუდმივი ძალისხმევა, რომ შეინარჩუნოს გავლენა ამ ტერიტორიაზე, რომელსაც იგი განიხილავს როგორც გადამწყვეტს თავისი უსაფრთხოებისა და დიდი ძალის სტატუსისთვის.

ამასთან ერთად, სამხრეთ კავკასია კვლავ აღიქმება მოსკოვის მიერ როგორც რუსეთსა და დასავლეთს შორის მეტოქეობის ასპარეზი. სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს განსხვავებული პოზიცია აქვს რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობებში. საქართველოში რუსეთთან დაკავშირებულმა შიშმა და მისგან მომდინარე საფრთხის აღქმამ გააძლიერა ევროკავშირთან და ნატოსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის სურვილი. სომხეთმა საპირისპირო პოზიცია დაიკავა - თავისი ეკონომიკა და უსაფრთხოება რუსეთს დაუკავშირა. რუსეთს სამხედრო ბაზა აქვს სომხეთში და რუსეთის სასაზღვრო ჯარები იცავდნენ სომხეთის საზღვარს თურქეთთან, ნატოს წევრ ქვეყანასთან. აზერბაიჯანი შუაშია მოქცეული საკუთარი საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგით და თურქეთთან მჭიდრო კავშირებით. პოზიცია, რომელიც შესაძლებელი გახდა საკუთარი მნიშვნელოვანი ენერგო რესურსების წყალობით.

კავკასია ასევე გამორჩეულია ეთნიკური ჯგუფების მრავალფეროვნებით. რეგიონში 50-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, ბევრ მათგანს საკუთარი უნიკალური ენა, კულტურა და ტრადიციები აქვს. ეთნიკური ჯგუფების ეს მოზაიკა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, ისტორიულად, არეულობისა და პოლიტიკური მღელვარების მიზეზი იყო მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ რეგიონის თურქებისგან დაპყრობით დაწყებული 1990-იანებისა და 2000-იანი წლების დასაწყისის ორ ჩეჩნურ ომამდე. მოსკოვისთვის, პირველ რიგში, მუსლიმი ხალხები ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში წარმოადგენენ გამოწვევას რუსული პოლიტიკისთვის, რომელიც სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ოფიციალურად ოთხი ოფიციალური რელიგია აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი ისლამია.

გარდა ამისა, რუსეთში არსებობს ფართოდ გავრცელებული „დომინოს თეორია“, რომლის თანახმადაც რუსეთის ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშაა ჩრდილოეთ კავკასიაში. ნებისმიერი სახის სეცესია ჩრდილოეთ კავკასიაში გამოიწვევდა მსგავსი რელიგიური და ეთნიკური აჯანყებებისა და დეზინტეგრაციული მოძრაობების ზეწოლას უპირატესად მუსლიმურ ვოლგა-ურალის რეგიონებში, ანუ რუსეთის გულში. ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური მოზაიკა არის ფაქტორი, რომელიც აკავშირებს ამ რეგიონს სამხრეთ კავკასიასთან და ეს ფაქტორი ასევე ზრდის რუსეთის ინტერესს სამხრეთ კავკასიაზეც დომინირების მიმართ. სავარაუდო საომარმა მოქმედებამ შესაძლოა გადაინაცვლოს ჩრდილოეთშიც, რადგან ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი კავკასიონის ქედის ორივე მხარეს ცხოვრობს (ლეზგინები, აზერბაიჯანელები და ხუნძები დაღესტანსა და აზერბაიჯანში, ოსები ჩრდილოეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და სხვები). ამიტომ, რუსეთისთვის არსებობს ძველი გამონათქვამი: „ვისაც სურს აკონტროლოს ჩრდილოეთ კავკასია, მან ასევე უნდა აკონტროლოს სამხრეთიც“ (Sherr, 2017, p. 52). ომები ჩეჩნეთში, შიდაპოლიტიკური კონტექსტის მიუხედავად, ემსახურებოდა მოსკოვის მკაფიო მიზანს, არ დაეშვა სწორედ ამ დეზინტეგრაციული პროცესების ჩეჩნეთიდან გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთზე.

ამასთან ერთად, რეგიონის სიახლოვე ახლო აღმოსავლეთთან რუსეთისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კავკასიას, სადაც ასევე მნიშვნელოვანი დინამიკა არის ისლამისტური ექსტრემიზმი. რუსეთი ჩრდილოეთში ისლამისტურ ექსტრემიზმს ებრძვის კავკასიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. აღნიშნული პრობლემატიკა პერიოდულად განსაკუთრებულად თავს იჩენს ხოლმე ჩრდილოეთ კავკასიაში.

თუმცა რუსეთი ისტორიულად მუდმივად ახერხებდა საკთარ შეცდომებზე მეტ-ნაკლებად სწავლას. ისევე, როგორც წარსულ კონფლიქტებში, ომი ჩეჩნეთში იყო ასიმეტრიული კონფლიქტი, „თუმცა რუსები საბოლოოდ სწავლობდნენ მძიმე საბრძოლო გაკვეთილს (Galeotti, 2024, p. 22), რომ ჩეჩნებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება სხვა ჩეჩენი არის“. სწორედ ამის შედეგად დამყარდა კადიროვების მმართველობა ჩეჩნეთში. ძირითადად, ორივე რუსულ-ჩეჩნური ომი წარმოადგენდა კონვენციური სამხედრო მანქანისა და მოქნილი ადგილობრივი აჯანყებული მოძრაობის დაპირისპირებას, სადაც „თითოეული მხარე ცდილობდა მეორეს იძულებით ებრძოლა მისთვის სასურველი პირობებით“ (Galeotti, 2024, p. 22).

ჩეჩნეთის ომის შემდგომ პუტინის რუსეთმა დაიწყო გეგმური გადახედვა საკუთარი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის. ამის პირველი ნიშანი სწორედ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს დაწყებული სამხედრო ინტერვენცია გახდა.

რუსეთის ინტერვენციებს კავკასიაში ღრმა შედეგები ჰქონდა რეგიონული და გლობალური გეოპოლიტიკისთვის. უფრო კონკრეტულად კი:

— „გაყინული კონფლიქტების“ შექმნამ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში რუსეთს საშუალება მისცა შეენარჩუნებინა გავლენა ამ ქვეყნებზე.

— მუდმივმა არასტაბილურობამ ხელი შეუშალა ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონულ ინტეგრაციას რუსეთის მიერ მართული ჩარჩოების გარეთ.

— რეგიონის მილიტარიზაციამ გაზარდა მომავალი კონფლიქტებისა და შეიარაღების რისკი.

საერთაშორისო ურთიერთობები

— რუსეთის ქმედებებმა კავკასიაში ხელი შეუწყო დასავლეთთან ურთიერთობების გაუარესებას, რაც გამოიხატა სანქციების რეჟიმებითა და დიპლომატიური დაძაბულობით.

— ინტერვენციებმა გამოწვევა შეუქმნა ცივი ომის შემდგომ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას, განსაკუთრებით ჰელსინკის დასკვნით აქტში (Office of the Historian, n.d.) დადგენილ პრინციპებს.

— ინტერვენციებმა კავკასიაში აჩვენეს დასავლური უსაფრთხოების გარანტიებისა და რბილი ძალის შეზღუდვები პოსტსაბჭოთა სივრცეში.

— კონფლიქტებმა გავლენა მოახდინეს გლობალურ დებატებზე ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: თავდაცვის პასუხისმგებლობა, სახელმწიფო სუვერენიტეტი და ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმურობა.

ასევე რუსეთის მიდგომა კავკასიისადმი ასახავს უფრო ფართო ტენდენციებს მის საგარეო პოლიტიკაში:

— სამხედრო ძალის მტკიცე გამოყენება - მზადყოფნა, რომ გამოიყენოს მკაცრი ძალა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც მოგვიანებით გამოჩნდა სირიაში, აფრიკასა და უკრაინაში.

— „ჰიბრიდული ომი“ - კონვენციური სამხედრო ტაქტიკის კომბინაცია საინფორმაციო ომთან, კიბეროპერააციებთან და ეკონომიკურ ზეწოლასთან და სხვა არაპირდაპირი მოქმედებების დესტრუქციულ მეთოდებთან.

— პრაგმატული ალიანსები - ურთიერთობების ჩამოყალიბება ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ირანი და თურქეთი, დასავლური გავლენის დასაბალანსებლად.

კავკასიის სტრატეგია ასევე გავლენას ახდენს რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად ასპექტებზეც:

— NATO-ს გაფართოების აღქმა ეგზისტენციალურ საფრთხედ, რაც განაპირობებს ბუფერული ზონების შექმნის პოლიტიკას.

— გაჭიანურებული კონფლიქტების გამოყენება გავლენის ინსტრუმენტებად, რაც ხელს უშლის მეზობელ სახელმწიფოებს, სრულად ინტეგრირდნენ დასავლურ ინსტიტუტებთან.

— ფოკუსირება სტრატეგიული სიღრმის შენარჩუნებაზე, რაც განიხილება როგორც გადამწყვეტი რუსეთის თავდაცვისთვის, მისი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

ამრიგად, რუსეთის ინტერვენციები კავკასიაში არის არა იზოლირებული მოვლენები, არამედ ნაწილია თანმიმდევრული, თუმცა ზოგჯერ რეაქტიული სტრატეგიისა, რომელიც მიზნად ისახავს თავისი გავლენის შენარჩუნებას მის მიერ აღქმულ გავლენის სფეროში და დასავლეთის შემოჭრად აღიქვამს. ეს მიდგომა, ღრმად დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე და ფორმირებული ევრაზიონისტული იდეოლოგიით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონულ სტაბილურობასა და უფრო ფართო საერთაშორისო წესრიგზე.

აღსანიშნავია, რომ ევრაზიონიზმის გავლენა აშკარაა რუსეთის მიდგომაში კავკასიისადმი რამდენიმე მიმართულებით:

— რუსული ინტერესებისა და მოსახლეობის დასაცავად სამხედრო ინტერვენციის უფლების მტკიცება.

— რბილი ძალის ინსტრუმენტების, მათ შორის მედიის, კულტურისა და მართლმადიდებელი ეკლესიის გამოყენება გავლენის შესანარჩუნებლად.

— სტრატეგიული მიზანი, რომ არ დაუშვას რეგიონის ზედმეტად მჭიდრო დაახლოება დასავლურ ინსტიტუტებთან.

საერთო ჯამში, რუსეთის ომებისგან კავკასიაში რამდენიმე ძირითადი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

სტრატეგიული ადაპტირების უნარი - კონტრასტი ჩეჩნურ კონფლიქტებსა და 2008 წლის საქართველოს ომს შორის ასახავს რუსეთის სამხედრო და სტრატეგიული შესაძლებლობების ევოლუციას. პირველი ჩეჩნური ომიდან მიღებულმა გაკვეთილებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი რეფორმები რუსულ სამხედრო დოქტრინასა და ტაქტიკაში, რაც, ტრადიციული პრობლემების მიუხედავად, აშკარად გამოჩნდა მეორე ჩეჩნური ომის უფრო ეფექტიან წარმოებაში და სწრაფ ოპერაციაში საქართველოში. თავის მხრივ, 2008 წლის გამოცდილება გახდა მასშტაბური სამხედრო რეფორმების საბაბი რუსულ ჯარში. იგივეს ვხედავთ უკრაინაშიც. ეს ადაპტირების უნარი მიანიშნებს რუსეთის გადაწყვეტილებაზე, დარჩეს დომინანტური ძალა რეგიონსა და მის მიღმა.

იდეოლოგიური საფუძვლები - ევრაზიონისტული იდეოლოგიის გავლენა რუსულ სტრატეგიაზე კავკასიაში არ შეიძლება გადაჭარბებით შეფასდეს. ეს ნეოიმპერიალისტური ფილოსოფია უზრუნველყოფს თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ამართლებს რუსეთის ქმედებებს როგორც უფრო ფართო ცივილიზაციური მისიის ნაწილს. ის აყალიბებს როგორც რუსი ლიდერების რიტორიკას, ასევე რეგიონში მისაღწევ სტრატეგიულ მიზნებს, წარმოადგენს რა ინტერვენციებს არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ აუცილებლობად, არამედ კულტურულ იმპერატივად. ასევე წარმოადგენს გარკვეულ თეორიულ საფუძველს რუსეთის გაფართოებისთვის ე.წ. „ახლო სამეზობლოს“ ტერიტორიებზე.

გამოწვევა ცივი ომის შემდგომი წესრიგისთვის - რუსეთის ინტერვენციებმა კავკასიაში მნიშვნელოვნად გამოიწვია ცივი ომის შემდეგ დამყარებული დასავლეთის მიერ მართული საერთაშორისო წესრიგი. „ახლო საზღვარგარეთში“ თავისი ინტერესების დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენების მზადყოფნის დემონსტრირებით, რუსეთმა ეფექტიანად გააპროტესტა ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპები, როგორც ეს დასავლეთში ესმოდათ. ამას ღრმა შედეგები აქვს რეგიონული სტაბილურობისა და გლობალური პოლიტიკისთვის.

დასავლეთის გავლენის საზღვრები - კონფლიქტებმა ჩეჩნეთსა და საქართველოში გამოავლინა დასავლეთის გავლენის შეზღუდვები პოსტსაბჭოთა სივრცეში. მიუხედავად რიტორიკული მხარდაჭერისა და ზოგიერთი ეკონომიკური და დიპლომატიური ზომებისა, დასავლურ ძალებს არ შეეძლოთ ან არ სურდათ ეფექტიანად დაპირისპირებოდნენ რუსეთის ქმედებებს რეგიონში. ამ რეალობამ აიძულა კავკასიის ქვეყნები, რომ ფრთხილად დაება-

ღანსებინათ თავიანთი ურთიერთობები რუსეთთან და დასავლეთთან. აღნიშნული ქმედებების შედეგები დღემდე გამოიყენება რუსეთის მიმართ დაბალანსებული პოლიტიკის აპოლოგეტების მხრიდან პრორუსული პროპაგანდისათვის.

გაყინული კონფლიქტები როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტები - რუსეთის მიდგომამ შექმნა რამდენიმე „გაყინული კონფლიქტი" რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან დაკავშირებით. ეს გადაუჭრელი დავები წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტებს რუსული გავლენის შესანარჩუნებლად, კავკასიის სახელმწიფოების სრული დასავლური ინტეგრაციის თავიდან ასაცილებლად და საერთაშორისო მოლაპარაკებებში ბერკეტების უზრუნველსაყოფად.

უფრო ფართო საგარეო პოლიტიკის შედეგები - რუსეთის სტრატეგიები კავკასიაში ასახავს უფრო ფართო ტენდენციებს მის საგარეო პოლიტიკაში, მათ შორის სამხედრო ძალის მტკიცე გამოყენებას, „ჰიბრიდული ომის" ტაქტიკის გამოყენებას და აშშ-ის გლობალური ჰეგემონიის გამოწვევას. ეს ქმედებები კავკასიაში შეიძლება განვიხილოთ როგორც უკრაინასა და სირიაში შემდგომი ინტერვენციების წინამორბედი, რაც მიუთითებს თანმიმდევრულ სტრატეგიაზე რუსეთის დიდი ძალის სტატუსის ხელახლა დამტკიცებისთვის. ასევე, პერსპექტივაში სამომავლოდ, რამდენიმე ძირითადი მოსაზრება იკვეთება:

— კავკასია, სავარაუდოდ, დარჩება კონკურენციის ზონად რუსეთსა და დასავლეთს შორის, კონფლიქტისა და არასტაბილურობის მუდმივი პოტენციალით.

— რუსეთის „ვალდებულება", შეინარჩუნოს თავისი გავლენა რეგიონში, უყოვნი ჩანს, რაც მიუთითებს, რომ არსებული კონფლიქტების ნებისმიერი გადაწყვეტა მოითხოვს რუსული ინტერესების აღიარებას.

— ევრაზიონისტული აზროვნების გავლენა რუსულ პოლიტიკაზე შეიძლება კვლავაც აყალიბებდეს მოსკოვის მიდგომას, რაც პოტენციურად გამოიწვევს შემდგომ დაძაბულობას დასავლურ ორიენტირებულ მთავრობებთან რეგიონში.

— ახლა და შესაძლოა, საშუალოვადიან პერპექტივაში საერთაშორისო საზოგადოება დადგება რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობის შეუძლებლობის რისკის წინაშე, განსაკუთრებით, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვის კონტექსტში, რაც განსაკუთრებულად გამწვავდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდგომ.

რეგიონალური უკრაინის ომთან

მოდელები, სტრატეგიები და იდეოლოგიური საფუძვლები, რომლებიც შეინიშნება რუსეთის ინტერვენციებში კავკასიაში, პოულობს მკვეთრ პარალელებს მიმდინარე ომში უკრაინის წინააღმდეგ, რაც ხაზს უსვამს გარკვეულ უწყვეტობას რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო სტრატეგიაში. სახეზე გვაქვს გარკვეული კავკასიაში ნაცადი პრინციპებისა და მიდგომების გამეორება. კერძოდ:

1. ისტორიული ნარატივები და გამართლებები

ისევე, როგორც კავკასიაში გაიმართა თავი რუსეთმა ისტორიული კავშირებითა და რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვით, ასეთივე პოლიტიკას აგრძელებს უკრაინასთან მიმართებაშიც. პუტინის მტკიცებები რუსებისა და უკრაინელების ისტორიული ერთიანობის შესახებ გამოძახილია ევრაზიონისტული ნარატივებისა, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოსა და ჩეჩნეთში ინტერვენციების ლეგიტიმაციისთვის.

2. გავლენის სფეროს დოქტრინა

„ახლო საზღვარგარეთის“ კონცეფცია, რომელიც საფუძველია/ ქვაკუთხედია კავკასიაში რუსეთის ქმედებებისა, თანაბრად გამოიყენება უკრაინის მიმართაც. რუსეთის აგრესიული რეაქცია უკრაინის დასავლურ ორიენტაციაზე ასახავს მის პოზიციას საქართველოს NATO-ში გაწევრიანების მისწრაფებებზე, რაც აჩვენებს თანმიმდევრულ პოლიტიკას ბუფერული ზონის შენარჩუნების შესახებ დასავლური ძალების შემოჭრის წინააღმდეგ.

3. სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგია

რუსული სამხედრო შესაძლებლობების ევოლუცია, რომელიც შეინიშნება ჩეჩნური ომებიდან საქართველოს კონფლიქტამდე, კიდევ უფრო თვალსაჩინოა უკრაინაში. ჰიბრიდული ომის ტაქტიკის გამოყენება, მათ შორის საინფორმაციო ომი და კიბეროპერაციები, რომლებიც დაიხვეწა წინა კონფლიქტებში, თვალსაჩინოდ გამოიყენებოდა უკრაინის ომში 2014 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შემდგომ სამხედრო-სტრატეგიული და ტაქტიკური ცვლილებები ბრძოლის ველზე თვალსაჩინოა.

4. გაყინული კონფლიქტების შექმნა

საქართველოში (ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი) გამოყოფილი რეგიონების დაარსებას პარალელი აქვს აღმოსავლეთ უკრაინაში (დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები) სეპარატისტული ერთეულების ადრეულ შექმნასთან.

5. გამოწვევა საერთაშორისო წესრიგისთვის

რუსეთის მოქმედებები უკრაინაში, მათ შორის ყირიმის ანექსია და სრულმასშტაბიანი შეჭრა 2022 წელს, წარმოადგენს ცივი ომის შემდგომი წესრიგისთვის გამოწვევის ესკალაციას, რაც პირველად გამოჩნდა კავკასიის რეგიონში, კერძოდ, 2008 წელს საქართველოში ინტერვენციის შემდგომ. საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის უგულებელყოფა არის საქართველოსა და ჩეჩნეთში გამოცდილი პოლიტიკის გაგრძელება.

6. ევრაზიონისტული იდეოლოგია:

ევრაზიონისტული აზროვნების გავლენა ჩანს უკრაინის კონფლიქტშიც, როგორც ცივილიზაციური ბრძოლა დასავლურ ღირებულებებსა და გავლენასთან. ეს იდეოლოგიური საფუძველი, რომელმაც ჩამოაყალიბა რუსეთის მიდგომა კავკასიისადმი, ახლა უფრო დიდი მასშტაბით გამოიყენება უკრაინაში და წარმოადგენს კრემლის საინფორმაციო პროპაგანდის ქვაკუთხედს. ევრაზიულობის მიხედვით, უკრაინა არის „ტიტანების ბრძოლის ველი“ (NATO StratCom Centre of Excellence, 2015, p. 17), სადაც სიკეთე და ბოროტება იბრძვიან გავლენისთვის.

7. დასავლეთის რეაქცია და შეზღუდვები

დასავლეთის პირველი რეაქცია უკრაინაში შეჭრაზე გამოიხატა შეზღუდვებში. სანქციები ასევე კავკასიის კონფლიქტების დროსაც გამოიყენებოდა. თუმცა უკრაინის ომის მასშტაბმა გამოიწვია უფრო მძლავრი და ერთიანი დასავლური რეაქცია, რაც, შესაძლოა, მიანიშნებდეს ცვლილებაზე, როგორ აღიქვამენ ისინი და უპირისპირდებიან რუსეთის მოქმედებებს.

8. სტრატეგიული სიღრმე და უსაფრთხოების აღქმა

რუსეთის მუდმივი შეშფოთება სტრატეგიული სიღრმისა და ბუფერული ზონების შესახებ, რაც აშკარაა პოლიტიკაში კავკასიის მიმართ, კიდევ უფრო გაძლიერებულია უკრაინის შემთხვევაში, მისი უფრო დიდი ზომისა და NATO-ს ქვეყნებთან უფრო პირდაპირი სიახლოვის გამო. აღნიშნული საკითხი პერიოდულად ჩანს მოსკოვის მიერ გაჟღერებულ სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელ პირობებში (რადიო თავისუფლება, 2024).

9. საინფორმაციო ომი და ნარატივის კონტროლი

მედიისა და საინფორმაციო ომის დახვეწილი გამოყენება, რომელიც გამოიცადა კავკასიის კონფლიქტების დროს, 2014 წლიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდა უკრაინის კონტექსტში, რასაც გლობალური შედეგები აქვს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის სტრატეგიებისთვის. თანამედროვე რუსული პროპაგანდის ძირითადი კომპონენტია მტრის იმიჯის ექსპლუატაცია, მუდმივი საზრდო ძალადობისა და მილიტარიზმის გამართლებისთვის. აგრესიული თავდასხმები მიმართულია სუბიექტებზე, რომლებიც რუსი ხალხის ცნობიერებაში დღევანდელი „კოლექტიური დასავლეთის“ პერსონიფიკაციაა, ანუ, პირველ რიგში, შეერთებული შტატები, ნატო და მათთან ერთად უკრაინა.

10. გრძელვადიანი გეოპოლიტიკური შედეგები

ისევე, როგორც კავკასიის ინტერვენციებმა შეცვალა რეგიონის განვითარების დინამიკა, უკრაინის ომსაც აქვს შორსმიმავალი შედეგები გლობალურ გეოპოლიტიკაზე, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ძალთა ბალანსზე რუსეთსა და დასავლეთს შორის.

უკრაინის ომი შეიძლება განვიხილოთ როგორც იმ სტრატეგიებისა და იდეოლოგიების კულმინაცია, რომლებიც რუსეთმა განავითარა და განახორციელა კავკასიაში. მსგავსებები გამართლებაში ტაქტიკასა და საერთო სტრატეგიულ მიზნებში აჩვენებს თანმიმდევრულ, გრძელვადიან მიდგომას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, თუმცა უკრაინის კონფლიქტის მასშტაბი და საერთაშორისო რეაქცია ასევე აღნიშნავს მნიშვნელოვან ესკალაციას, რამაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს გლობალური წესრიგის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია, ვინაიდან მოსკოვი ამ ომში მარტო არ არის. ამ უწყვეტობის გაგება გადამწყვეტია რუსეთის მომავალი მოქმედებების პროგნოზირებისა და დამკვიდრებული გლობალური წესრიგისთვის გამოწვევებზე ეფექტიანი საერთაშორისო რეაგირების შემუშავებისთვის.

ასევე, უნდა ითქვას, რომ მართალია ევრაზიონიზმი არ უნდა განვიხილოთ როგორც რუსეთის პოლიტიკის ერთადერთ მამოძრავებელ ძალად კავკასიაში ან მის ფარგლებს გარეთ, მისი გავლენა რუსულ სტრატეგიულ აზროვნებასა და საჯარო დისკურსზე მნიშვნელოვანია. ამ იდეოლოგიური ჩარჩოს გაგება უმნიშვნელოვანესია კავკასიის რეგიონისადმი და მის მიღმა რუსეთის მიდგომის სირთულეებისა და მისი უფრო ფართო საგარეო პოლიტიკური მიზნების გასაგებად.

პუტინის რიტორიკაში ჩვენ ვხედავთ ამ იდეების გამოვლინებას რამდენიმე გზით:

— აქცენტი რუსეთის „სუვერენულ დემოკრატიაზე“ როგორც დასავლური ლიბერალური დემოკრატიის ალტერნატივაზე.

— სამხედრო ინტერვენციების წარმოდგენა, მათ შორის უკრაინაში, როგორც „აუცილებელი ნაბიჯი“ რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად და რეგიონული სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

— ევრაზიული ინტეგრაციის პროექტის, როგორიცაა ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, წახალისება როგორც ევროკავშირისა და NATO-ს გაფართოების ალტერნატივები.

დასკვნა

დასავლეთმა თავის დროზე ერთხელ უკვე დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც არასათანადოდ შეფასა რუსეთის ამბიციები, თანამედროვე სამყაროსათვის დრომოჭმულად გამოაცხადა გეოპოლიტიკურ ტერმინები საერთაშორისო ურთიერთობების და სახელმწიფოთა ამბიციების განხილვისას და დღეს ჩვენ, ყველა, სწორედ ბოლო ათწლეულებში დაშვებული ამ შეცდომების ფასს ვიხდით. ამის პირველი მაგალითი საქართველო იყო 2008 წელს, როდესაც მოსკოვმა მისი კავკასიის ქედს სამხრეთით არსებობა დაიბრუნა და ამით ჩეჩნეთის მეორე ომის შემდგომ მოპოვებული პოზიციები განიმტკიცა.

გეოპოლიტიკური ხედვები და თეორიები შეიძლება არა ყოვლისმომცველად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად გვეხმარება თანამედროვე გლობალური პროცესების დანახვაში და გაანალიზებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გლობალური აქტორების, ჩინეთის და რუსეთის საგარეო პოლიტიკური პათოსი კვლავინდებურად თავისი არსით გეოპოლიტიკურია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. განსხვავებები მხოლოდ განხორციელების გზებსა და მიდგომებშია, რაც მეტწილად აქტორების სტრატეგიული კულტურითა და ისტორიული გამოცდილებით არის განპირობებული.

რუსეთის ქმედებები კავკასიაში, ჩეჩნეთის ორი ომი და 2008 წლის ინტერვენცია საქართველოში წარმოადგენდა რუსული გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული აზროვნებისთვის გარდაუვად აუცილებლობას, რაც შემდგომ აისახა იმ თანმიმდევრულ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებში, რასაც მოსკოვი წლების განმავლობაში დგამდა. ომი უკრაინაში სწორედ ამ პოლიტიკის მომდევნო გადამწყვეტი ნაბიჯი გახდა.

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო, კვლავინდებურად სწორედ მისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, გეოპოლიტიკური ტეხილების მიჯნაზე იმყოფება და რეალობა მისგან რაციონალური და გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებას მოითხოვს, რათა თბილისი ისტორიის არასწორ მხარეს არ აღმოჩნდეს და, რაც მთავარია, არ დაზარალდეს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები, რისი საფრთხე უკვე ძალზედ დიდია. ამისათვის უმნიშვნელოვანესია გვესმოდეს რუსული გეოსტრატეგიული აზროვნების საფუძვლები და მის მიერ წარმოებული კავკასიური ომებისგან მიღებული სამხედრო-პოლიტიკური გაკვეთილები.

ბიბლიოგრაფია

ანთაძე გიორგი. (2012). გეოპოლიტიკური აზროვნების ევოლუცია.

Jakob Hedenskog, E. H. A. J. N. (2018). Security in the Caucasus: Russian policy and military posture

List, J. R. (2013, September 20). TRANSCRIPT: [Putin at] Meeting of the Valdai International Discussion Club [partial transcript]. Johnson's Russia List.

Статья Владимира Путина «Об историческом единстве русских и украинцев». (2021, July 12). Президент России. http://kremlin.ru/events/president/news/66181

Galeotti, M. (2024). Russia's wars in Chechnya: 1994-2009. Osprey Publishing.

NATO StratCom Centre of Excellence. (2015) Analysis of Russia's information campaign against

Milestones in the history of U.s. foreign relations - office of the historian. (n.d.). State. gov. Retrieved 14 July 2024,

Universal, N. B. C. (2005, April 25). Putin: Soviet collapse a 'genuine tragedy'. NBC News.

რადიო თავისუფლება. (2024, June 14). ვლადიმირ პუტინმა უკრაინაში ომის დასრულების პირობები დაასახელა.